ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №527862

ნომერი: AR1105195

თარიღი : 25.01.2013

გაცემის თარიღი : 14.02.2013

გაცნობის თარიღი : 15.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ. დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კილაძე პ/ნ 01024018939
- თბილისი ო.ჭილაძის ქ. N 166

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

სამსახურს 2012 წლის 25 იანვარს № AR1105195 განცხადებით მომართა შპს „ქართული ხილი და ბოსტნეული“-ს

დირექტორმა კობა კილაძემ (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის №401424 მომზადების თარიღი 05.12.2011 წ.) და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, სოფ. დიდი ლილო (ნაკვ. №011/111), შპს „ქართული ხილი და ბოსტნეული“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხილისა და ბოსტნეულის შესანახი ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა №6/477-1).
განმცხადებლის განმარტებით ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვეულია ტექნიკური შეცდომა და არასწორადაა მითითებული საკადასტრო კოდი.
სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა მოთხოვნის საფუძვლიანობა საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში და დაადგინა, რომ 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.19.28.001.111-ის ნაცვლად მითითებული იქნა №01.19.28.011.111. საჯარო რეესტრის მონაწერის (სარეგისტრაციო №882012127231 მომზადების თარიღი 27.03.2012 წ.) თანახმად მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №01.19.28.001.111. შესაბამისად, მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 59-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ბრძანებაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.19.28.011.111 ნაცვლად დაფიქსირდეს №01.19.28.001.111;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №01/476 ბრძანებასა და 2012 წლის 17 დეკემბრის №475273 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.